

**1. ხედვა:** *რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?*

საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდი ამოცანაა პოლიტიკური და სოციალური ჯგუფების შეთანხმებული და მშვიდობიანი თანაარსებობა.

ახალი ფუნქციებით აღჭურვილი პრეზიდენტი, რომელსაც ახლა ვირჩევთ, საზოგადოების ერთიანობისა და სამოქალაქო მშვიდობის გარანტი უნდა გახდეს. ამასთან, ის უნდა იყოს ეფექტური კრიზის-მენეჯერი და შეეძლოს პოლიტიკური დამაბულობების განმუხტვა, უნდა გააჩნდეს საჭირო ავტორიტეტი და პოლიტიკურ აქტორებთან ურთიერთობის გამოცდილება.

**2. განათლება:** *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

განათლების სისტემაში, ისევე როგორც სხვა სფეროებში, მთავარი პრობლემა კვალიფიკაციის ნაკლებობაა. კარგია სკოლების ტექნოლოგიური ბაზის განახლება და შენობების მოწყობა, მაგრამ ეს ვერ შეცვლის მასწავლებლის ფუნქციას. თუ გვინდა, რომ სასკოლო განათლების დონე ავამაღლოთ, მთავარი ყურადღება მასწავლებლებს უნდა მივაპყროთ. დღესდღეობით მასწავლებლობა არაპრესტიჟულია და წარმატებული ადამიანები ამ პროფესიას არ ირჩევენ. ამიტომ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად მასწავლებლების პრესტიჟი და რეპუტაცია უნდა ავამაღლოთ.

განათლების სისტემასთან ერთად უნდა განვიხილოთ მეცნიერების განვითარების შესაძლებლობა. ჩვენი მეცნიერება აუცილებლად უნდა გახდეს გლობალური სამეცნიერო პროცესის ნაწილი. ჩვენისთანა პატარა და ღარიბ ქვეყანას დამოუკიდებლად მეცნიერების განვითარება გაუჭირდება. უნდა მივალწიოთ იმას, რომ ევროპულ ან სხვა სამეცნიერო ცენტრებში მიმდინარე კვლევითი სამუშაოების გარკვეული კომპონენტები საქართველოს სამეცნიერო ცენტრებში განხორციელდეს. ასე შევძლებთ შევქმნათ საფუძვლები, რომელზეც მეცნიერთა ახალი თაობა ჩამოყალიბდება.

ვფიქრობ სათანადო ეფექტის მისაღწევად განათლებასა და მეცნიერებაზე მშპ-ს 5% უნდა დავხარჯოთ.

**3. გადასახადები:** *თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?*

ვფიქრობ, საგადასახადო სისტემა გარკვეულ მოდიფიკაციას საჭიროებს. მოგების გადასახადი უნდა გავაუქმოთ ან დავტოვოთ სიმბოლურ ნიშნულზე. დამატებული ღირებულების

გადასახადს ჯერჯერობით ვერ შევხებით, თუმცა სამომავლოდ მის შემცირებაზე უნდა ვიფიქროთ.

რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, მისი განაკვეთი (20%) არ უნდა შეიცვალოს, უნდა შეიცვალოს გაანგარიშების წესი. ვგულისხმობ იმას, რომ უნდა დაიბეგროს არა მთელი შემოსავალი, არამედ მისი ნაწილი, რაც გარკვეული ხარჯების გამოკლების შემდეგ დარჩება. ეს ხარჯებია: ოჯახის წევრების სამედიცინო დაზღვევა, შვილების განათლებაზე დახარჯული თანხა, იპოთეკური სესხის პროცენტი და საპენსიო/სოციალურ ფონდში გადარიცხული თანხა. ეს მიდგომა გულისხმობს იმას, რომ ყველამ ვისაც ექნება სურვილი ისარგებლოს ამ შეღავათით, უნდა შეავსოს საშემოსავლო დეკლარაცია. მოკლედ რომ ვთქვათ, გადასახადის გადამხდელს უნდა შევთავაზოთ ორი ალტერნატივა - თუ რეგულარულად შეავსებს საშემოსავლო დეკლარაციას, მას შეეძლება ისარგებლოს აღნიშნული შეღავათით, ხოლო თუ არ აქვს დეკლარაციის შევსების სურვილი, მისი შემოსავალი დაიბეგრება სრული განაკვეთით.

**4. ეკონომიკა: როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?**

ახალი კონსტიტუციით, ეკონომიკური ინიციატივები პრეზიდენტის კომპეტენცია აღარ არის, თუმცა გარკვეული ხედვა ცხადია გამაჩნია.

საქართველოს პირობებში სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირება უნდა იყოს მინიმალური. სადაც აუცილებელია, იქ "გონივრული რეგულირება" უნდა განხორციელდეს.

ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა ადამიანების საქმიანი აქტივობაა და სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია ამ აქტივობის ხელისშემშლელი ფაქტორების მოხსნაში გამოიხატება. უპირველესად, ადამიანებს პოლიტიკური და სამართლებრივი სტაბილურობის განცდა უნდა გაუჩნდეთ და ამ თვალსაზრისით საკუთრების ხელშეუხებლობა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ვფიქრობთ, რომ სილატაკისა და უმუშევრობის დაძლევის რეალური გზა წარმოებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ განვითარებაშია. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს ძირითადი რესურსები მიმართული იქნას წარმოების განვითარებასა და საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირებაზე.

საქართველოში ჯერჯერობით ცოტაა გრძელვადიანი ეკონომიკური პროექტები. ეს ვითარება უნდა შეიცვალოს. საპენსიო/სოციალური დაზღვევის ფონდების გაჩენის, ინდუსტრიის განვითარების ფონდის შექმნის და ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაზრდის შედეგად უნდა გაჩნდეს ე. წ. "გრძელი ფული", რომელიც გრძელვადიან პროექტებს დააფინანსებს და ეკონომიკური ზრდას უზრუნველყოფს.

უნდა გავაკონტროლოთ და 3-4 პროცენტის ჩარჩოებში მოვაქციოთ ინფლაცია. ამჟამინდელი დეფლაციის პროცესი სარისკოდ გვეჩვენება და დასაშვებად მიგვაჩნია მონეტარულმა პოლიტიკამ გარკვეული ცვლილებები განიცადოს.

ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მთავარია სწორად დავსვათ ამოცანა. ანუ კონკრეტულად რა პრობლემა უნდა გადაიჭრას და შემდეგ დავსახოთ მოქმედების გზები. მაგალითად, ბევრი ლაპარაკია სოფლად მაცხოვრებელი ადამიანების პრობლემებზე, მაგრამ საქმე წინ ვერ მიდის. ეს იმიტომ ხდება, რომ ამოცანა აგრარული სექტორის ამა თუ იმ მიმართულების გაუმჯობესებამდეა დაყვანილი. პრობლემა კი გაცილებით მასშტაბურია. სოფლად ორი მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ამოცანა მათი სიღარიბიდან ამოყვანაა. შეუძლია აგრარულ სექტორს ამ ამოცანის გადაწყვეტა არ შეუძლია, რადგან საჭირო პოტენციალი არ აქვს. აუცილებელია ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარება და სოფლის მეურნეობით დაკავებული ადამიანების რაოდენობის შემცირება. ეკონომიკამ მთლიანობაში უნდა შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და ერთი რომელიმე დარგის განვითარების იმედად ვერ ვიქნებით.

**5. დასაქმება:** *თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?*

საქართველო ღარიბი, განვითარებადი ქვეყანაა. როგორც ყველა ასეთ ქვეყანას, საქართველოსაც ეკონომიკური სიღუბე და უმუშევრობა ახასიათებს. პრობლემა მასშტაბურია და სწრაფად ვერ გადაწყდება. პრობლემის დაძლევის მრავალწლიანი, მიზანმიმართული და გააზრებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა სჭირდება.

საქართველოში უმუშევრობას აქვს როგორც კონიუნქტურული, ისე სტრუქტურული ხასიათი. ამიტომ ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიულ განათლებას.

მთლიანობაში უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევისთვის საჭირო ამოცანების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკა, უმუშევრობის დაზღვევა და დაზღვევაზე გაწეული ხარჯების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისგან გათავისუფლება და ახალი ცოდნისა და კვალიფიკაციის გავრცელების ხელშეწყობა.

სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად უნდა განვიხილოთ სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნა. ყველა დასაქმებულ ადამიანს უნდო ჰქონდეს შესაძლებლობა გაიკეთოს გარკვეული დანაზოგი, რომელსაც გამოიყენებს პენსიის სახით - მოხუცებულობის დროს, ან საარსებო წყაროს სახით - სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში. ამ დანაზოგისთვის გადადებული ფული არ უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით.

**6. ჯანდაცვა:** *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამაღლდეს მისი ხარისხი?*

სახელმწიფომ უნდა წახალისოს სამედიცინო დაზღვევაზე გაწეული ხარჯები. ასეთი ხარჯები არ უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით. აგრეთვე, არასწორად მიგვაჩნია პოლიტიკა, რომელიც სადაზღვევო კომპანიების მიერ საავადმყოფოების მშენებლობას გულისხმობს. სადაზღვევო კომპანიები და სამედიცინო მომსახურების ცენტრები ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს და დაზღვეულ ადამიანს მომსახურების მიღება ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში უნდა შეეძლოს. ისევე როგორც სხვა სფეროებში, აქაც მთავარი მამოძრავებელი სტიმული კონკურენცია უნდა იყოს. სახელმწიფო მხოლოდ დამხმარე როლით უნდა დაკმაყოფილდეს.

სამედიცინო სფეროს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მენეჯმენტისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების ნაკლებობაა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებითა და მისი გონივრული იმპლემენტაციით არის შესაძლებელი, სადაც ძირითადი აქცენტი კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს.

**7. სოციალური უსაფრთხოება:** *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური უსაფრთხოების სისტემა არ შეიძლება იყოს საყოველთაო. გარკვეული გარანტიები უნდა არსებობდეს, მაგრამ მხოლოდ მათთვის ვისაც ეს სჭირდება. ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ და თავს რესურსების ფლანგვის უფლებას ვერ მივცემთ.

ამასთან, მიმაჩნია, რომ საჭირო არ არის ახალი ბიუროკრატიული სტრუქტურების შექმნა. ვფიქრობ, რომ ისეთ სფეროებში, როგორცაა სოციალური დაცვა, შშმპ-ზე ზრუნვა, განათლების სფეროში სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრირება, პროფესიული გადამზადება, ლოკალური ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტა და სხვა, შესაბამისი მომსახურება ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან შევიძინოთ.

**8. ადგილობრივი თვითმმართველობა:** *თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?*

თვითმმართველობის სისტემის კარგად ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ თუ როგორი დემოგრაფიული სურათის პირობებში ვცხოვრობთ. ჩვენი რეალობაა - 1,5 მილიონიანი თბილისი და დანარჩენი პროვინციული საქართველო, ელიტების თავმოყრა თბილისში და "ლიდერშიფის" დეფიციტი რეგიონებში, ურბანული განვითარების საჭიროება, საბიუჯეტო დეცენტრალიზაციის აუცილებლობა. ამ პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი ტერიტორიული მოწყობის საკითხებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების მმართველობითი ფუნქციების შესახებ.

ბევრი საზოგადოებრივი ჯგუფი გამოდის ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ინიციატივით, თუმცა თავიდან ბოლომდე გააზრებული კონცეფცია არავისგან მოგვისმენია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აპირებენ ჯერ შექმნან რეგიონული ხელისუფლების ორგანოები და მათ ფუნქციურ დატვირთვაზე მერე იფიქრონ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯერ უნდა ჩამოვყალიბოთ საჯარო/სახელმწიფო ინსტიტუტების მმართველობითი ფუნქციები და მერე დავაზუსტოთ თუ რომელი ფუნქცია რომელმა ინსტიტუტმა უნდა შეასრულოს.

**9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?**

საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტები გადაწყვეტა რთული საკითხია. იოლი გამოსავლის იმედი არ უნდა გვქონდეს. წარსულის შეცდომებზე ჭკუა უნდა ვისწავლოთ და ამ პრობლემას ფრთხილად და გააზრებულად მივუდგეთ.

ჩვენი კონფლიქტების მოგვარება მრავალმხრივი საერთაშორისო პროცესია. ამ პროცესის რიგ საკითხებში ძლიერი პოზიციები გვაქვს და ეს "კოზირი" უნდა გავიყენოთ. მთავარი აქცენტი უნდა გადავიტანოთ კონფლიქტის ჰუმანიტარულ მხარეზე, ანუ ლტოლვილებსა და მათ უფლებებზე. უნდა მივადწიოთ იმის აღიარებას, რომ ამ ადამიანებს აქვთ საკუთარ მიწაზე უპირობო დაბრუნების უფლება და შემდეგ მოვიფიქროთ ამ პროცესის უზრუნველყოფის პოლიტიკური, სამართლებრივი და უსაფრთხოების მექანიზმები.

სეპარატისტული რეგიონებთან მიმართებაში დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა არის პასიური და შემოიფარგლება მხოლოდ უნიათო რეაგირებით მოვლენებზე, რაც ჩვენთვის დამღუპველია. მათთან დაკავშირებით უნდა ვაწარმოოთ არაღიარების აქტიური პოლიტიკა, ჩამოვყალიბოთ ნდობის გარემო საერთო ინტერესების ქსელის შექმნით და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების საფუძველზე შევქმნათ საქართველოს შიდა სივრცეში მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინტეგრაციის ვექტორები. ამასთან, კონფლიქტური რეგიონები უნდა გამოცხადდეს დემილიტარიზებულ ზონად, განისაზღვროს უსაფრთხოების გარანტიების (მ.შ. საერთაშორისო) მექანიზმები, ხოლო დევნილები უპირობოდ უნდა დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებლებს და მიიღონ კომპენსაციები.

**10. უმცირესობათა უფლებები: რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?**

საქართველო არის ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი და შესაბამისი წესებით ცხოვრობს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებები როგორცაა სიცოცხლის ხელშეუხებლობა, საკუთრების უფლება, ოჯახის ინსტიტუტი, პიროვნული და ეროვნული ღირსება.

მიგვაჩნია, რომ ყველა ადამიანი თავს საზოგადოების ღირსეულ წევრად უნდა გრძნობდეს და ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებულობა მათზე ძალადობის ან უფლებრივი შეზღუდვის საფუძველი არ უნდა იყოს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვერავის შევზღუდავთ ეთნიკური კუთვნილების მიხედვით და ვერც არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას გამოვაცხადებთ სისხლის სამართლის დანაშაულად. ეს ყველაფერი ადამიანის პირად ცხოვრებას განეკუთვნება და სახელმწიფოსა და პოლიტიკის საქმე არ არის. სახელმწიფოს საქმეა, ერთი მხრივ, უზრუნველყოს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის განმტკიცება, მეორე მხრივ, დააფინანსოს და ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულის სწავლებას. აგრეთვე, ერთი მხრივ, ყოველმხრივ განამტკიცოს ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტი და მეორე მხრივ არ დაუშვას ძალადობა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვერ დავუჭერთ მხარს ერთსქესიან ქორწინებას. ვინაიდან ეს წინააღმდეგობაშია ქორწინების ტრადიციულ გაგებას. რატომ უნდა შევცვალოთ ქორწინების ცნების შინაარსი? ჩვენ ვიცით, რომ ქორწინება გულისხმობს ქალის და მამაკაცის კავშირს. ერთსქესიანი ქორწინების დროს ეს ნიშნავს ორი ნებისმიერი ადამიანის კავშირს. ასეთ შემთხვევაში, მე მაქვს შეკითხვა - რატომ მხოლოდ ორი? მგონი გასაგებია, რომ აბსურდამდე მივდივართ.

**11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში:** *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

საჭიროდ მიგვაჩნია ქალების როლის გაძლიერება საზოგადოების ცხოვრებაში, რაც დედობაზე დახარჯული დროის კომპენსაციითაა შესაძლებელი. ნუ დაგვავიწყდება, რომ 90-იან წლებში ქალებმა “ზურგით გაათრიეს” ოჯახები და შესაბამისად უნდა გავითვალისწინოთ ეს. მიმაჩნია, რომ მომავლის საქართველო საქმის კაცებისა და საქმის ქალების ქვეყანა უნდა იყოს.

**12. უმცირესობათა უფლებები:** *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?*

საქართველო არ არის მონოეთნიკური ქვეყანა. არსებობენ ეთნიკური უმცირესობები, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა. ყველასთვის აშკარაა, რომ საჭიროა მათი ინტეგრირება ერთიან საზოგადოებაში, მაგრამ არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი საბჭოთა წარსულიდან მომდინარე ინერციაა. საზოგადოების დიდ ნაწილში დომინირებს “ეროვნულობის” საბჭოურ-სტალინისტური გაგება, რაც ხელს უშლის ქვეყნის პოლიტიკურ ერთობად ჩამოყალიბებას. ეს წინააღმდეგობები ფართო სამოქალაქო საგანმანათლებლო საქმიანობით უნდა დაიდლოს,

მოხდეს უმცირესობების ინტეგრირება ერთიან საზოგადოებაში და საქართველოს მოქალაქეობა "პოლიტიკურ ქართველობას" უნდა გაუთანაბრდეს.

**13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია:** *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.*

ცხადია, სასურველია გვექონდეს ისეთი მაღალი ეკოლოგიური სტანდარტები, როგორც ევროპის ქვეყნებს აქვთ, მაგრამ ამისთვის ჯერ ძალიან დარიბი ქვეყანა ვართ. კარგი ეკოლოგია დიდი ფული ღირს და არ მგონია დღეს ჩვენი საზოგადოება მზად იყოს ასეთი ფასის გადასახდელად, თუმცა მინიმალური სტანდარტების განსაზღვრა და დაცვა აუცილებელია.

**14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა:** *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/ გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

საქართველოში მრავლად არიან დასავლური ორიენტაციის მომხრენი და მოწინააღმდეგენი, მათ სხვადასხვა არგუმენტები აქვთ. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, სიტყვის თავისუფლება და მეწარმეობის თავისუფლება არ უნდოდეს. დასავლეთიც ეს არის, შესაბამისი ღირებულებები და ინსტიტუტები. ჩვენთან ეს ყველაფერი ჯერ დამკვიდრების პროცესშია და საბოლოოდ დასამკვიდრებლად მხარდაჭერა გვჭირდება. სად უნდა ვიპოვოთ დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების, სიტყვისა და მეწარმეობის თავისუფლების მხარდაჭერი მოკავშირე რუსეთში? ჩინეთში? ირანში? ცხადია, ასეთი მოკავშირე მხოლოდ დასავლეთია.

საქართველოს სჭირდებოდა და ახლაც სჭირდება თანამდეროვე სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისათვის საჭირო ცოდნა. ეს ცოდნა მხოლოდ დასავლეთის დახმარებით შეიძლება მივიღოთ. გარდა ამისა, დასავლეთი გვთავაზობს ტექნოლოგიებს, საუნივერსიტეტო განათლებას, ბაზარს, უსაფრთხოებას და ა. შ.

დასავლეთის სიდიდემ და შესაძლებლობებმა არ უნდა შეგვაშინოს. საქართველო ყოველთვის ახერხებდა დიდ ცივილიზაციებთან ადაპტაციას ისე, რომ საკუთარი უნიკალურობა შეენარჩუნებინა და განეითარებინა. ასე რომ, თუ ჩენი ქვეყნის გვჯერა, უნდა გავიხსნათ ახალი ცოდნისა და ღირებულებებისთვის. ამით მხოლოდ გავძლიერდებით.

რუსეთის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რუსეთთან ურთიერთობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი აღზრდა ჩვენი საქმე არ არის. თუ რუსეთი ოდესმე მოისურვებს დასავლური ტიპის ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, მხოლოდ

მივესალმებით, თუმცა ამას ვერ დაველოდებით. რუსეთი ისეთია, როგორც არის და აქედან უნდა ამოვიდეთ მასთან ურთიერთობისას.

რის შემოთავაზება შეუძლია რუსეთს? არაფრის, გარდა იმისა, რომ იმაზე უფრო ცუდად არ მოგვექცევა, ვიდრე აქამდე მოგვექცა. რუსეთს არა აქვს არც ახალი პოლიტიკური იდეები და არც პროექტები. ე. წ. "ევრაზიული კავშირი" საბჭოთა კავშირის გადამღერებაა და სხვა არაფერი. რუსეთი გვთავაზობს მისი გავლით ვიურთიერთოთ დასავლეთთან. რატომ? ჩვენ მეცხრამეტე საუკუნეში აღარ ვცხოვრობთ და დასავლეთთან პირდაპირ, შუამავლების გარეშე შეგვიძლია ურთიერთობა.

**15. რეგიონული თანამშრომლობა:** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

საქართველოს შეუძლია და უნდა იყოს ხიდი კავკასიასა და დასავლურ ცივილიზაციას შორის. ამ სიტყვების ქვეშ ვგულისხმობ როგორც სატრანზიტო-ეკონომიკურ ფუნქციას, ისე კულტურების დაახლოებას.

საქართველოს მეშვეობით რეგიონში მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა ნახონ რას ნიშნავს ევროპული, კანონებზე დამყარებული სახელმწიფო, აგრეთვე მიიღონ თანამედროვე განათლება საქართველოს უნივერსიტეტებში და ჩაერთონ ბიზნეს-პროექტებში.

**16. თავდაცვის პოლიტიკა:** როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

ჩვენი თავდაცვის სისტემა უნდა ემყარებოდეს ჯარისკაცის ღირსების პატივისცემას. აუცილებლად მიმაჩნია ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევა და ოფიცერთა ფენის ფორმირება. სამხედრო ელიტა ეროვნული ელიტის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ საკადრო საკითხებში და გავუფრთხილდეთ კვალიფიციურ ოფიცრებს.

რაც შეეხება სამხედრო სამსახურის ფორმას, უფრო მეტად პროფესიული არმიისკენ ვიხრები.

**17. უსაფრთხოების პოლიტიკა:** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

ქვეყნის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. საქართველოს დიდი არჩევანი არ აქვს და ძირითადად ორი მიმართულება არსებობს. საქართველო შედის რაიმე სახის სამხედრო ალიანსში ან თავისივე ძალებით უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. ჩვენი ეკონომიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად სამხედრო მოკავშირეების ძიება მიგვაჩნია.



ნატო არის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომლის წევრობაც თანმედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების ყველაზე დიდ გარანტიას იძლევა. ამდენად საქართველოს რომ ნატოს წევრობა უნდა ამაში გასაკვირი არაფერია. თუ ნატოს ალტერნატივაზე ვიფიქრებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ალტერნატივა უსაფრთხოების იგივე დონესა და ხარისხს უნდა იძლეოდეს.

ჩვენ სამი დიდი და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფო გვესაზღვრება - თურქეთი, ირანი და რუსეთი. თურქეთი ნატოს წევრია და მასთან ალიანსი იგივეა, რაც ნატოში გაწევრიანება. ირანის სამხედრო მოკავშირეობა დასავლეთთან დაპირისპირებას ნიშნავს, რაც არ შედის ჩვენს სტრატეგიულ ინტერესებში. დარჩა რუსეთი, რომელთანაც სამხედრო კონფლიქტი გვაქვს და რომელიც ჯერჯერობით არ აპირებს თანაბარუფლებიან პარტნიორად განგვიხილოს. ამასთან, ირანის ან რუსეთის სამხედრო მოკავშირეობა ვერ დაგვიცავს ისეთი საფრთხისგან როგორც არის, მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმი ან ბირთვული იარაღის არალეგალური გავრცელება. რუსეთს თავად აქვს პრობლემები ჩრდილოეთ კავკასიაში და ამასთან, როგორც ჩვენივე გამოცდილება გვიჩვენებს, მისი დაპირებები სანდო არ არის.

**18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა:** *თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?*

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის პრაქტიკა ჩემთვის მიუღებელია, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოდის სიცოცხლის უფლებასთან. დასაშვები მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როდესაც დედის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება ან ჩასახვა სექსუალური ძალადობის შედეგად მოხდა.

**19. გადასახადები და კრედიტი:** *უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?*

ეს უაღრესად მგრძობიარე საკითხია. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არ არის, უფრო მდიდარ ქვეყნებსაც აქვთ მსგავსი პრობლემები. 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იპოთეკური სესხებით წარმოშობილმა ვალდებულებებმა განაპირობა. მთავარია არ შევქმნათ ფუჭი მოლოდინები. დღეს ბევრი ჩვენი მოქალაქე იმედგაცრუებულია სწორედ შეუსრულებადი დაპირებებისა და ფუჭი მოლოდინების გამო. ამაზე პასუხისმგებლობა მმართველ კოალიციას და მის ლიდერს ეკისრებათ.

რაც შეეხება სესხების უზრუნველყოფას, ეს ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი პრაქტიკაა. შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ ვადაგადაცილებულ სესხებზე არ მოხდეს დიდი ჯარიმების დარიცხვა, მაგრამ ვალდებულების შესრულებისგან ვერავის გავათავისუფლებთ.

იპოთეკურ სესხებს არ უნდა შევხედოთ როგორც ბოროტებას. ეს საინვესტიციო საქმიანობის ერთერთი ფორმაა. როგორც უკვე აღვნიშნე, მიზანშეწონილად მიმაჩნია იპოთეკური სესხის პროცენტზე დახარჯული თანხა გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისგან. ამით ჩვენ წავახალისებთ იპოთეკურ სესხებს, ეს წახალისებს უძრავი ქონების ბაზარს და შესაბამისად ბინათმშენებლობის პროცესსაც.

**20. მიწის საკუთრება:** როგორ ვფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?

მე მომხრე ვარ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ჰქონდეთ იგივე უფლებები და ვალდებულებები, რაც აქვთ საქართველოს მოქალაქეებს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ პოლიტიკური უფლებები და სახელმწიფო თანამდებობები.

გარდა ამისა, ვფიქრობ საკუთრების საკითხი უფრო ფართოა და მხოლოდ უცხო ქვეყნების მოქალაქეებს არ ეხება. იმისათვის, რომ საზოგადოებაში დავამკვიდროთ სამართლიანობის განცდა, საკუთრების საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. უნდა მივაღწიოთ მდგომარეობას, როდესაც მესაკუთრეებს არ მოუწევთ საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება. თუ საჭირო იქნება, გამოვაცხდოთ ფართო ამნისტია და მივიღოთ სტრატეგიული პოლიტიკური გადაწყვეტილება კონკრეტული თარიღით არსებული მდგომარეობის ხელშეუხებლობის შესახებ. სხვა შემთხვევაში ეკონომიკური განვითარება შეუძლებელი იქნება.

საბოლოოდ უნდა დავამკვიდროთ სადავო საკითხების სამართლიანი გარჩევის პრაქტიკა და ამით განვამტკიცოთ სასამართლოს, როგორც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუციის ავტორიტეტი და რეპუტაცია.